საქართველოს კანონი
ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ

თავი I. ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ტყისა და სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების დაცვის წესი

მუხლი 1

1. ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული, თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში მყოფი, მწვანე ნარგავებით დაფარული ტერიტორიის გასხვისება, აგრეთვე მწვანე ნარგავების კატეგორიის შეცვლა აკრძალულია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ტყის ფონდით სარგებლობა დაიშვება მიჩენის მიზნით, ასევე სახელმწიფო ტყის ფონდისათვის სპეციალური დანიშნულების კატეგორიის მინიჭებისას, ხოლო ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ტყის ფონდიდან ფართობების ამორიცხვა – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. (ამოღებულია).

4. ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ტყის ფონდისათვის სპეციალური დანიშნულების კატეგორიის მინიჭება და მისი სპეციალური ტყითსარგებლობისათვის გაცემა დაიშვება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნებისათვის (გარდა წიაღის მოპოვებისა), რის შესახებაც გადაწყვეტილებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იღებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ეროვნული სატყეო სააგენტო.

საქართველოს 2005 წლის 28 დეკემბრის კანონი №2554 - სსმ I, №4, 18.01.2006 წ., მუხ.31
საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5642 - სსმ I, №46, 24.12.2007 წ., მუხ.401
საქართველოს 2010 წლის 23 მარტის კანონი №2791 - სსმ I, №17, 06. 04 .20 10 წ., მუხ. 98
საქართველოს 2011 წლის 11 მარტის კანონი №4406 - ვებგვერდი,17.03.2011წ.
საქართველოს 2013 წლის 25 მარტის კანონი №475 – ვებგვერდი, 05.04.2013წ.
საქართველოს 2014 წლის 30 აპრილის კანონი №2317 - ვებგვერდი, 13.05.2014წ.

მუხლი 1^1

ამ კანონის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შესაბამისი საკომპენსაციო ღონისძიება – ამ კანონით დადგენილი მწვანე ნარგავების აღდგენითი ღირებულების თანხის გადახდა ან/და საკომპენსაციო რგვა;

ბ) საკომპენსაციო რგვა – მოჭრილი მწვანე ნარგავების სანაცვლოდ სულ მცირე იმავე რაოდენობის მწვანე ნარგავების გაშენება და მოვლა;

გ) მწვანე ნარგავები – მერქნიანი მცენარეები (ხე, ბუჩქი) და არამერქნიანი მცენარეები;

დ) ზეხმელი ხე – ზრდაშეწყვეტილი, ზეზე მდგომი გამხმარი ხე;

ე) ხმობადი ხე – ხე, რომლის ღეროს ერთი მესამედი გამხმარია;

ვ) ფაუტი ხე – დამპალი და გამომშრალი (გამოფიტული) ფუტურო ხე, რომელსაც მერქნის თავდაპირველი სტრუქტურა და სიმკვრივე დაკარგული აქვს;

ზ) გადაბერებული ხე – სწრაფმოზარდი სახეობის მწიფე და გადაბერებული ხე, რომელმაც საამორტიზაციო ხნოვანებას მიაღწია (40–50 წლის ვერხვი, აკაცია, ტირიფი);

თ) დაავადებული ხე – ხე, რომლის განკურნება ფაქტობრივად შეუძლებელია.

საქართველოს 2017 წლის 6 აპრილის კანონი №619 - ვებგვერდი, 21.04.2017წ.

მუხლი 2

ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სახელმწიფო ტყეში და სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე აკრძალულია:

ა) მშენებლობა, გარდა მიჩენისა და სპეციალური მიზნით გამოყოფილ ტერიტორიებზე მშენებლობისა;

ბ) ხის ჭრა სამასალე მერქნის მიღების მიზნით, გარდა ხმელი, ხმობადი და ფუტურო საშეშე მერქნისა;

გ) პლანტაციური მეურნეობის წარმოება;

დ) (ამოღებულია);

ე) სამონადირეო მეურნეობის მოწყობის მიზნით სარგებლობის ნებართვის გაცემა.

საქართველოს 2010 წლის 23 მარტის კანონი № 2791 - სსმ I, № 17 , 06 . 04 .20 10 წ., მუხ. 98

მუხლი 2^1

1. ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში (გარდა დაცული ტერიტორიებისა) საქართველოს

მთავრობის დადგენილებით შეიძლება შეიქმნას განსაკუთრებული რეგულირების სარეკრეაციო ზონა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ დადგენილებას საქართველოს მთავრობა იღებს ქ. თბილისის მერის მიმართვის საფუძველზე, რომელიც შეთანხმებულია ქ. თბილისის საკრებულოსთან და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან.

3. ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში (გარდა დაცული ტერიტორიებისა) გარკვეული ტერიტორიისათვის განსაკუთრებული რეგულირების სარეკრეაციო ზონის სტატუსის მინიჭება დაიშვება მხოლოდ იმ პროექტების განსახორციელებლად, რომელთა ძირითადი მიზანია გამწვანებული ტერიტორიების დაცვა ან/და ტერიტორიების გამწვანება.

4. განსაკუთრებული რეგულირების სარეკრეაციო ზონის სტატუსის მქონე ტერიტორიის გამოყენების ნორმები, ამ ტერიტორიის გაუმჯობესებისა და გაშენებისათვის აუცილებელი მოთხოვნები, ტერიტორიაზე გასაშენებელ მცენარეთა სახეობები, აგრეთვე ტერიტორიის საზღვრები და ფართობი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

საქართველოს 2010 წლის 12 თებერვლის კანონი № 2567 - სსმ I, №6, 2 2 . 02 .20 10 წ., მუხ. 24
საქართველოს 2011 წლის 11 მარტის კანონი №4406 - ვებგვერდი,17.03.2011წ.
საქართველოს 2013 წლის 25 მარტის კანონი №475 – ვებგვერდი, 05.04.2013წ.
საქართველოს 2013 წლის 6 სექტემბრის კანონი №1030 – ვებგვერდი, 23.09.2013წ.
საქართველოს 2014 წლის 30 აპრილის კანონი №2317 - ვებგვერდი, 13.05.2014წ.

თავი II. ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების დაზიანების, განადგურებისა და ამოძირკვის შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესი

მუხლი 3

ამ კანონით დგინდება ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების დაზიანების, განადგურებისა და ამოძირკვის, აგრეთვე მათი განზრახ დაზიანებისა და განადგურების შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესი და ოდენობა.

მუხლი 4

1. მწვანე ნარგავის სახეობისა და ხის (ბუჩქის, ხვიარა მცენარის) დიამეტრის მიხედვით განისაზღვრება მისი აღდგენითი ღირებულება ლარებში.

2. ხის (ბუჩქის, ხვიარა მცენარის) დიამეტრი იზომება ფესვის ყელიდან 10 სმ-ის სიმაღლეზე.

3. აღდგენითი ღირებულებები დგინდება:

ა) ხე-მცენარეთა ფოთლოვანი, წიწვოვანი და ხილ-კენკროვანი სახეობებისათვის;

ბ) ბუჩქებისა და ხვიარა მცენარეებისათვის.

მუხლი 5

1. საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობებისათვის, აგრეთვე მაღალი ღირებულების ჯგუფის წიწვოვანი და ფოთლოვანი ხე-მცენარეებისათვის – მყრალი ღვია, აღმოსავლეთის ბიოტა, ელდარის ფიჭვი, შავი არყი, კავკასიური აკაკი, არმაზის შინდანწლა, ქართული თხილი, ჩვეულებრივი ხურმა, ქაცვი, ჭოროხის მუხა, ჰართვისის მუხა, აღმოსავლეთის მუხა, წიფელი, ჩვეულებრივი ჯონჯოლი, ქართული თელა, ნამყენი თუთა, თელამუში – აღდგენითი ღირებულებები განისაზღვრება წლიური რგოლების რაოდენობის მიხედვით: წიწვოვანებისათვის მერქნის ერთი წლიური რგოლის ღირებულებაა 100 ლარი, ხოლო ფოთლოვანებისათვის – 50 ლარი.

2. დაბალი ღირებულების ჯგუფის ფოთლოვან სახეობათა ხე-მცენარეებისათვის – ჭადარი, ვერხვი (ყველა სახეობის), ცხენისწაბლა, იფანი, ცაცხვი, ნეკერჩხალი (გარდა ქართული ნეკერჩხლისა), რცხილა, ჯაგრცხილა, აკაცია, აბრეშუმა აკაცია, სოფორა, გლედიჩია, არღავანი, არყის ხე, საპნის ხე, კატალპა, კუნელი – აღდგენითი ღირებულებები განისაზღვრება 1-ლი ცხრილის შესაბამისად:

ცხრილი 1

მერქნის ერთი წლიური რგოლის ღირებულებაა 8 ლარი.

ხის დიამეტრი სანტიმეტრებში	წლიური რგოლების რაოდენობა	აღდგენითი ღირებულება ლარებში
4 სმ-მდე, ჩათვლით	8	64
4,1–8 სმ	16	128
8,1–12 სმ	24	192
12,1–16 სმ	32	256
16,1–20 სმ	40	320
20,1–24 სმ	48	384

24,1–28 სმ	56	448
28,1–32 სმ	64	512
32,1–36 სმ	72	576
36,1–40 სმ	80	640
40,1–44 სმ	88	704
44,1–48 სმ	96	768
48,1–52 სმ	104	832
52,1–56 სმ	112	896
56 სმ-ის ზევით		1000

3. წიწვოვან სახეობათა ხე-მცენარეებისათვის – კედარი (ყველა სახეობის), ფიჭვი (ყველა სახეობის), კვიპაროსი (ყველა სახეობის), ცრუცუგა, სოჭი, ნაძვი (ყველა სახეობის) – აღდგენითი ღირებულებები განისაზღვრება მე-2 ცხრილის შესაბამისად:

ცხრილი 2

მერქნის ერთი წლიური რგოლის ღირებულებაა 12 ლარი.

ხის დიამეტრი სანტიმეტრებში	წლიური რგოლების რაოდენობა	აღდგენითი ღირებულება ლარებში
4 სმ-მდე, ჩათვლით	8	96
4,1–8 სმ	16	192
8,1–12 სმ	24	288
12,1–16 სმ	32	384
16,1–20 სმ	40	480
20,1–24 სმ	48	576
24,1–28 სმ	56	672
28,1–32 სმ	64	768
32,1–36 სმ	72	864
36,1–40 სმ	80	960
40,1–44 სმ	88	1056
44,1–48 სმ	96	1152
48,1–52 სმ	104	1248
52,1–56 სმ	112	1344
56 სმ-ის ზევით		1500

4. ხილკენკროვან სახეობათა ხე-მცენარეებისათვის – მსხალი, ვაშლი, ბალი, ატამი, გარგარი, ალუბალი, ქლიავი, ლეღვი, შინდი, ტყემალი – აღდგენითი ღირებულებები განისაზღვრება მე-3 ცხრილის შესაბამისად:

ცხრილი 3

ხის დიამეტრი სანტიმეტრებში	აღდგენითი ღირებულება ლარებში
4 სმ-მდე, ჩათვლით	25
4,1–8 სმ	35
8,1–12 სმ	45
12,1–16 სმ	55
16,1–20 სმ	65
20,1–24 სმ	75
24,1–28 სმ	85
28,1–32 სმ	95

5. ბუჩქებისა და ხვიარა მცენარეებისათვის – ღვია, ტუია, წყავი, ჭყორი, შტამპიანი ჩვეულებრივი კვიდო, მარადმწვანე კვიდო, მაჰონია, წითელფოთოლა კოწახური, მარადმწვანე კოწახური, იუკა დიდებული – აღდგენითი ღირებულებები განისაზღვრება მე-4 ცხრილის შესაბამისად:

ცხრილი 4

ბუჩქის, ხვიარა მცენარის დიამეტრი სანტიმეტრებში	აღდგენითი ღირებულება ლარებში
4 სმ-მდე, ჩათვლით	45
4,1–8 სმ	75
8,1–12 სმ	80
12,1–16 სმ	85
16,1–20 სმ	90
20 სმ-ის ზევით	150

6. ამ მუხლით განსაზღვრული ჯგუფებისათვის სხვა ხე-მცენარეების, ბუჩქებისა და ხვიარა მცენარეების მიკუთვნებას ახორციელებს და ამტკიცებს ქ. თბილისის მერიის შესაბამისი სამსახური.

7. დარღვევის იურიდიული პირის მიერ ჩადენის შემთხვევაში იურიდიული პირი იხდის ამ მუხლის ცხრილებში მითითებული შესაბამისი აღდგენითი ღირებულების ორმაგ ოდენობას.

საქართველოს 2011 წლის 11 მარტის კანონი №4406 - ვებგვერდი,17.03.2011წ.
საქართველოს 2011 წლის 5 მაისის კანონი №4658 - ვებგვერდი,13.05.2011წ.
საქართველოს 2014 წლის 30 აპრილის კანონი №2317 - ვებგვერდი, 13.05.2014წ.

მუხლი 6

1. ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავები მათი ადგილმდებარეობის მნიშვნელობიდან გამომდინარე იყოფა სამ კატეგორიად.

2. პირველ კატეგორიას განეკუთვნება:

ა) ბაღების, პარკებისა და სკვერების ნარგავები;

ბ) ქალაქის ისტორიულ ნაწილში არსებული ნარგავები;

გ) პროსპექტების, გზატკეცილების, ცალკეული მაგისტრალებისა და ქუჩების ნარგავები;

დ) ნარგავები, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ როგორც ნიადაგდამცავებსა და წყალმარეგულირებლებს;

ე) „დედაქალაქის საკურორტო-რეკრეაციული ინფრასტრუქტურის განვითარებისა და მნიშვნელოვანი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე სახელმწიფო ტყის ფონდის კუთვნილი ფართობების (8106.9 ჰა) სახელმწიფო ტყის ფონდიდან ამორიცხვის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №1070 განკარგულებით სახელმწიფო ტყის ფონდიდან ამორიცხული მიწები, გარდა კერძო საკუთრებაში მყოფი მიწებისა.

3. მეორე კატეგორიას განეკუთვნება საბავშვო ბაღების, სკოლების, საავადმყოფოებისა და ფაბრიკა-ქარხნების ტერიტორიებზე არსებული სპეციალური დანიშნულებისა და შეზღუდული სარგებლობის ნარგავები.

4. მესამე კატეგორიას განეკუთვნება ნარგავები, რომლებიც არ შედის პირველ და მეორე კატეგორიებში.

5. პირველი კატეგორიისთვის მიკუთვნებული, თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში მყოფი, მწვანე ნარგავებით დაფარული ტერიტორიის გასხვისება, აგრეთვე მასზე მშენებლობის განხორციელება აკრძალულია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

6. მეორე და მესამე კატეგორიებისათვის მიკუთვნებული მწვანე ნარგავებით დაფარული ტერიტორიების გასხვისების შემთხვევაში, მათზე მშენებლობის განხორციელების დროს, აგრეთვე კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მწვანე ნარგავების მოსაჭრელად შესაბამისი ორგანოების მიერ მწვანე ნარგავების ჭრის ნებართვის გაცემა დასაშვებია:

ა) დაავადებული, ზეხმელი, ხმობადი, ფაუტი, გადაბერებული (ამორტიზებული) და ავარიული ხეების არსებობის შემთხვევაში, აგრეთვე ასეთი ხეების შესაძლო წაქცევით ადამიანის სიცოცხლისათვის ან/და ჯანმრთელობისათვის და სხვისი კერძო საკუთრებისათვის ან მისი ცალკეული ელემენტებისათვის საფრთხის შექმნისა და ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაინტერესებული პირი თავისუფლდება ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შესაბამისი საკომპენსაციო ღონისძიების განხორციელების ვალდებულებისაგან;

ბ) სამშენებლოდ გამოსაყენებელი ტერიტორიის დაავადებული, ზეხმელი, ხმობადი, ფაუტი, გადაბერებული (ამორტიზებული) და ავარიული ხეებისაგან გამოთავისუფლების მიზნით. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაინტერესებული პირი ახორციელებს საკომპენსაციო რგვას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესით;

გ) სათანადო წესით გაცემული მშენებლობის ნებართვის არსებობის შემთხვევაში, თუ მიწის ნაკვეთზე განთავსებული მწვანე ნარგავები პირდაპირ აფერხებს მშენებლობას და სამშენებლო ტერიტორიაზე მათი დატოვება შეუძლებელს გახდის მშენებლობის განხორციელებას. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მწვანე ნარგავების ჭრა დასაშვებია მხოლოდ ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შესაბამისი საკომპენსაციო ღონისძიების განხორციელების – აღდგენითი ღირებულების თანხის გადახდის შემდეგ. ამასთანავე, მოსაჭრელი ხეების რაოდენობა არ უნდა აჭარბებდეს შესაბამის ტერიტორიაზე არსებული მერქნიანი მცენარეების 25%-ს;

დ) მიწის ნაკვეთზე განთავსებული მწვანე ნარგავების მიერ აშენებული კონსტრუქციის უშუალოდ დაზიანების შემთხვევაში. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაინტერესებული პირი ახორციელებს საკომპენსაციო რგვას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესით.

7. მესაკუთრე ვალდებულია მოუაროს თავის ტერიტორიაზე არსებულ მწვანე ნარგავებს, არ დააზიანოს ისინი და ხელი შეუწყოს მათ ზრდა-განვითარებას. საკომპენსაციო რგვის განხორციელებისას აღდგენილი ან/და გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლის სამუშაოების ხანგრძლივობა სულ მცირე 2 წელია. აღდგენილი ან/და გაშენებული მწვანე ნარგავების განმეორებითი რგვის განხორციელების შემთხვევაში მწვანე ნარგავების მოვლის სამუშაოების სულ მცირე ორწლიანი ვადა ამ რგვის განხორციელების მომენტიდან ხელახლა აითვლება. ამასთანავე, მიწის მესაკუთრე/მიწით მოსარგებლე ვალდებულია წერილობით აცნობოს უფლებამოსილ ორგანოს თავის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული მწვანე ნარგავების დაავადების აღმოჩენის, აგრეთვე ამ ნარგავების მიერ ადამიანის სიცოცხლისათვის ან/და ჯანმრთელობისათვის და სხვისი საკუთრებისათვის ზიანის მიყენების მოსალოდნელი (შესაძლო) საფრთხის შესახებ.

8. ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შესაბამისი საკომპენსაციო ღონისძიება იგეგმება და ხორციელდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მწვანე ნარგავების მდგომარეობას დაადასტურებს (დაადასტურებენ) სათანადო უფლებამოსილებისა და გამოცდილების მქონე პირი (პირები).

საქართველოს 2014 წლის 30 აპრილის კანონი №2317 - ვებგვერდი, 13.05.2014წ.
საქართველოს 2017 წლის 6 აპრილის კანონი №619 - ვებგვერდი, 21.04.2017წ.

მუხლი 6[1]

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო განსაზღვრავს ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მწვანე ნარგავების ჭრის ნებართვის გამცემ ორგანოს/სამსახურს, აგრეთვე ადგენს მწვანე ნარგავების ჭრის ნებართვის გაცემისა და საკომპენსაციო რგვის განხორციელების წესსა და პირობებს.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს იმ პირობებსა და კრიტერიუმებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე დასკვნის გამცემი უფლებამოსილი პირი.

საქართველოს 2017 წლის 6 აპრილის კანონი №619 - ვებგვერდი, 21.04.2017წ.

მუხლი 7

1. პირველი, მეორე და მესამე კატეგორიების მიხედვით წესდება შესაბამისი შემასწორებელი კოეფიციენტები 2, 1,5 და 1, რომლებზედაც მრავლდება აღდგენითი ღირებულების თანხა და გამოითვლება მწვანე ნარგავების დაზიანების, განადგურებისა და ამოძირკვის შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობა.

2. ნარგავების უნებართვო განადგურების შემთხვევაში ზიანის ოდენობა განისაზღვრება აღდგენითი ღირებულების თანხის შესაბამის შემასწორებელ კოეფიციენტზე ნამრავლის ორმაგი ოდენობით.

3. ნარგავების უნებართვო განადგურებად ითვლება მათი განზრახ განადგურება ან ისეთი დაზიანება, რომელიც იწვევს ნარგავების ხმობას.

4. წიწვოვან სახეობათა ხე-მცენარეების ისეთი დაზიანების შემთხვევაში, რომელიც აქვეითებს მათ დეკორატიულ ღირსებას და იწვევს ხე-მცენარეების შემდგომი ზრდის შეჩერებას, ზიანის ოდენობა შეესაბამება აღდგენითი ღირებულების თანხის 50%-ს.

5. საკუთარ საკარმიდამო ნაკვეთებში ხე-მცენარეების (გარდა ხილ-კენკროვანი სახეობებისა) უნებართვო განადგურების შემთხვევაში ზიანის ოდენობა განისაზღვრება აღდგენითი ღირებულების თანხის მესამე კატეგორიისათვის დაწესებულ შემასწორებელ კოეფიციენტზე ნამრავლის ოდენობით.

მუხლი 8

1. ამ კანონის მიზნებისათვის ქ. თბილისის საზღვრებად ითვლება ქ. თბილისის პერსპექტიული განვითარების მოქმედი გენერალური გეგმის შესაბამისად დადგენილი საზღვრები.

2. ქ. თბილისის მიმდებარე ტერიტორიად ითვლება ქ. თბილისის ადმინისტრაციული საზღვრიდან შვიდკილომეტრიანი ზოლი.

თავი III. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 9. (ამოღებულია)

საქართველოს 2013 წლის 25 მარტის კანონი №475 – ვებგვერდი, 05.04.2013წ.

მუხლი 10
ეს კანონი ამოქმედდეს 2000 წლის 1 დეკემბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე
თბილისი,

2000 წლის 10 ნოემბერი.
№594-Iს